UNIFICATION OF THE EUROPEAN FEDERALISM IN THE SUPRANATIONAL POLITICS OF EU GOVERNANCE[1]

ევროპული ფედერალიზმის უნიფიკაცია ევროკავშირის მართვის სუპრანაციონალურ პოლიტიკაში[2]

EDISHER JAPHARIDZE

Doctor of Political Science,
GTU Associate Professor,
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9239-4785
jafaridzeedo@yahoo.com

Abstract:

The paper discusses the unification of Europe through the model of federalization, which implies the introduction of the idea of ,,non-dogmatic'' federalism into the ,,Union'' and not ,,unity'' and its establishment, which later became the basis for the legal mechanism of the European Union. In the broader sense of the federal state we call each federal union which takes two different forms: 1) Confederation of States (Staaten Bund) where federation is soft and weak. 2) The federal state (Bundessstaat), where the Federal Union is closer. In 1948 Mikheil Muskhelishvili, along with the French constitutionalist Gaston Stephan, wrote the constitution project of European federalism, important provisions of which became the basis for the future modern law of European Union, fundamental principles of the constitution are widely used even today in European jurisprudence.

Key words: History of the European Union; European law; the European Union and Georgia.

[1]This research [HE-22-239] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). The Regionalism Research Institute.

[2] კვლევა [HE-22-239] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი.

ედიშერ ჯაფარიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-9239-4785
jafaridzeedo@yahoo.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ევროპის უნიფიკაცია ფედერალიზაციის მოდელით, რაც გულისხმობს ,,კავშირში'' და არა ,,ერთობაში'', ,,არადოგმატური'' ფედერალიზმის იდეის შემოტანას და მის დამკვიდრებას, რაც მოგვიანებით ფედერალიზმი, როგორც ევროკავშირის სამართლებრივი მექანიზმი შემდგომ ევროპის სამართალს საფუძვლად დაედო. ფედერაციულ სახელმწიფოს ფართო მნიშვნელობით ჩვენ ვუწოდებთ ყოველ ფედერაციულ კავშირს, რომელიც ღებულობს ორ განსხვავებულ სახეს: 1) სახელმწიფოთა კონფედერაცია (Staaten Bund), სადაც ფედერაციული კავშირი რბილია და სუსტი. 2) ფედერალური სახელმწიფო (Bundessstaat), სადაც ფედერალური კავშირი უფრო მჭიდროა. 1948 წელს მიშელ მუსხელმა, ფრანგ კონსტიტუციონალისტ გასტონ სტეფანთან ერთად ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი დაწერა, სადაც დეტალურად გაწერილია ფედერალიზმის პრინციპები, რომელიც თანამედროვე ევროპული სამართალი დღესაც საზრდოობს მიხეილ მუსხელიშვილის მიერ ინიცირებული ფედერალური სახელმწიფოს სამართლის პრინციპებით.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის ისტორია; ევროპის სამართალი; ევროკავშირი და საქართველო.

შესავალი

საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა მისი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, შესაბამისად აქტუალური ხდება კითხვა თუ რითი შევდივართ ჩვენ, ქართველები, ამ დიდ სივრცესა და თანამეგობრობაში? ყველა ქვეყანა, რომელიც სურდა ან სურთ ევროკავშირის წევრობა, ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ითხოვენ მისი წვლილის ჩვენებას ევროპულ ცივილიზაციასა და ევროპულ ღირებულებების დამკვიდრებაში, მისი ევროპულ იდენტობის წარმოჩენაში, კულტურის და მეცნიერების განვითარებაში. საქართველო ცარიელი ხელებით არ ბრუნდება ევროპაში, თუ არ ჩავთვლით იმ უძველეს პერიოდს, როცა ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში იბერიულ-კავკასიურ ტომებში დომინირებდნენ და უძველეს ცივილიზაციას ქმნიდნენ, თანამედროვე 20-21 -ე საუკუნის ქართველებსაც გვაქვს ამ მხრივ სათქმელი. ამ ფონზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ისეთ პიროვნებათა მოღვაწეობის შესწავლა, როგორიცაა მიხეილ მუსხელიშვილის კონცეფცია. ნაშრომში წარმოდგენილი მასალის შეფასება და ანალიზი, მხოლოდ ზემოხსენებულ პიროვნებათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ქართულ-ევროპული ურთიერთობის ისტორიული გამოცდილების სააშკარაოზე გამოტანას და რაც მთავარია, სამომავლო კავშირის განმტკიცების პროცესში არსებული მონაპოვრის შენარჩუნებას და ახალი გზების დასახვას.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია ევროპული ფედერალიზმის უნიფიკაცია ევროკავშირის მართვის სუპრანაციონალურ პოლიტიკაში.

ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ უახლეს ქართულ და უცხოურ ლიტერატურაზე.

შედეგები

ნაშრომში განხილულია ევროპის უნიფიკაცია ფედერალიზაციის მოდელით, რაც გულისხმობს ,,კავშირში'' და არა ,,ერთობაში'', ,,არადოგმატური'' ფედერალიზმის იდეის შემოტანას და მის დამკვიდრებას, რაც მოგვიანებით ევროკავშირის სამართლებრივ მექანიზმს შემდგომ საფუძვლად დაედო.

მიშელ მუსხელის ,,ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი'' და ,,ევროპა ფედერალიზმის პირისპირ'' შრომებიდან ჩანს, რომ ევროპული ფედერალიზმის კორელაცია ევროკავშირის მართვის სუპრანაციონალურ პოლიტკაში წარმოადგენს დღესაც აქტუალურ და მნიშვნელოვან პარადიგმას.

დისკუსია

ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა უნიკალური ფენომენია, იმით, რომ კომპლექსურ ინსტიტუციურ არქიტექტურას აბალანსებს სამთავრობოთაშორისო და სუპრანაციონალური ინსტიტუციებით, რომელიც გარკვეულწილად სახელმწიფო მოწყობას წააგავს. სამთავრობოთაშორისო ისეთ ინსტიტუტებს უწოდებენ, რომლებშიც გადაწყვეტილებას სახელმწიფოები იღებენ თავიანთი სუვერენიტეტის ფარგლებში. სუპრანაციონალური კი ისეთი ინსტიტუტებია, რომლებზეც სახელმწიფოებს დარეგულირებული აქვთ უფლებამოსილება და რომლებიც არ წარმოადგენენ არც ერთ კონკრეტულ სახელმწიფოს. ევროკავშირი ინსტიტუციური მოწყობის უნიკალური მოდელია მთელი რიგი ფინანსური, საზედამხედველო და სარეკომენდაციო ხასიათის ინსტიტუტებით, რომელიც შინაარსობრივად ძალიან წააგავს სახელმწიფო ინსტიტუციებს. ევროკავშირს აქვს თავისი საკანონმდებლო შტო -მინიტრთა საბჭო და ევროპარლამენტი, რომელიც გარკვეულ ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს. აღმასრულებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუტი კი -ევროკომისიაა, რომელიც პრემიერ-მინისტრის და მინისტრთა კაბინეტის მსგავსად ფუნქციონირებს. რაც შეეხება სასამრთლო შტოს ევროკავშირის შემთხვევაში წარმოდგენილია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოთი (ევრო სასამრთლო), რომელიც განმარტავს ევროკავშირის კანონმდებლობას და დავების შემთხვევაში გამოდის უზენაესი არბიტრის როლში[3]. 1952 წელს შექმნილი სუპრანაციონალური ინსტიტუტის - ევროკომისიის დასაბალანსებლად იმავე პერიოდში შექმნეს ამ ქვეყნების მინისტრთა საბჭო (Council of ministers), რომელიც ევროკომისიის, როგორც სუპრანაციონალური ინსტიტუტის ნაციონალური საპირწონე გახდა. ამ თვალსაზრისით ევროკაშირის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ზოგიერთი, მათ შორის ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებენ არა ერთპიროვნულად, არამედ ევროკავშირის ინსტიტუტების ჩართულობით, ამიტომაცაა, რომ მმართველობის სისტემებს შორის ანალოგი მას არ მოეპოვება, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ნებაყოფლობით თმობენ ზოგიერთ სუვერენულ კომპეტენცია/უფლებამოსილებას. სუპრანაციონალური (ზეერეოვნული, ეროვნულ ინტერესებზე მაღლა მდგომი) თავისებურება სწორედ ეს გახლავთ ევროკავშირის შექმნისა და ფუნქციონირების ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც თავისი შინაარსით ვლინდება

[3] ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ათი წელი აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში, 2022.

ე.წ. ,,გადაღვრის'' (Spillover) ეფექტით, რაც გულისხმობს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ერთ სფეროში და სტიმულს აძლევს ქვეყნებს შორის ამ თანამშრომლობის ,,გადაღვრას'' მონათესავე სფეროში. შესაბამისად სუპრანაციონალიზმი გახდა (ტერმინი ოფიციალურ დოკუმენტებში პირველად შემოტანილ იქნა 1951 წლის 18 აპრილს პარიზის ხელშეკრულებაში, რომლითაც ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება შეიქმნა) დემოკრატიული რეორგანიზაციისა და ევროკავშირის მმართველობის სისტემის ქვაკუთხედი, როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ადმინისტრირების უალტერნატივო მოდელი. ასე შეიქმნა და ჩამოყალიბდა ევროკავშირის სუპრანაციონალური მოდელი. თუმცა რატომ გახდა სუპრანაციონალიზმი ევროკავშირის მმართველობის სისტემის ქვაკუთხედი და რა მიზეზებმა განაპირობეს იგი? რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მომავალი ევროკავშირის შექმნასა და ევროინტეგრაციის პროცესების თეორიული საფუძვლების შექმნაში. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მიხეილ მუსხელიშვილის კონცეფცია ფედერალიზმის შესახებ, რომელიც ზედმიწევნით ხსნის მომავალი ევროკავშირის სუპრანაციონალურ მოდელის ხასიათს და მის ბუნებას. მიხეილ მუსხელიშვილის იდეებმა შემდგომ ხელი შეუწყო ევროპული ინტეგრაციის, პოლიტიკური აზროვნების განვითარებას და ევროკავშირის დამფუძნებელ მამებს უბიძგა ერთიანი ევროპის საერთო აზრის ჩამოყალიბებისა და სუპრანაციონალიზმის უკეთ განვითარებისკენ. რაც შემდგომ განხორციელდა საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრ რობერტ შუმანის მიერ მიღებული 1950 წლის 9 მაისის ისტორიული დეკლარაციით, რომელიც ზუსტად იმეორებს მიშელ მუსხელის მიერ 1948 წელს გამოქვეყნებული ევროპის ფედერალური კონსტიტუციის ტექსტს არა მხოლოდ სულისკვეთებას, არამედ ევროპის უნიფიკაციის საკითხის მიმართ ზოგად მიდგომებსა და მიზნებს. თუ როგორ მუშაობს ევროკავშირის სუპრანაციონალური მოდელი, რომელიც სუვერენული კომპეტენციები სრულიად უნიკალური მეთოდით (კლასიკური ფედერალიზმით ანუ არადოგმატური ფედერალიზმით) იქნა გადანაწილებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის.

მიხეილ მუსხელიშვილს ეკუთვნის ევროპის ინსტიტუციურად მოწყობის შესახებ არა ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მათ შორისაა: L'Europe face au federalisme; Michel Mouskhely, Gaston Stefani, ,,Draft of a European Federal Constitution"1948; "Confederation et Federation: L'antithese", "Confederation ou Federation Europeenne?", Michel Mouskheli. La theorie juidique de l'Etat federal: 60 fr. (J. Pedone) 1931; Base juridique de l'Etat federal, p. 302, 1930.

ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება ,,L'Europe face au federalisme ''- ევროპა ფედერალიზმის პირისპირ და Draft of a European Federal Constitution -ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტზე, სადაც მ. მუსხელიშვილის კონცეფციები და თეორიები საოცარი სიზუსტით იქნა შემდგომ რეალიზებული ევროკავშირის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. აქტუალობა და მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს, ევროპული ფედერალიზმი დღესაც აქტიურ კორელაციაშია ევროკავშირის მართვის სუპრანაციონალურ მოდელთან, კერძოდ: ნაშრომში ,,ევროპა ფედერალიზმის პირისპირ'' მ. მუსხელმა იწინასწარმეტყველა ევროკავშირის განვითარებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპზე განხორციელებულ ისეთი სტრუქტურულ და სამართლებრივ პრინციპები, როგორიცაა: ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა; ევროკავშირსა და მის წევრებს შორის სამართლებრივ კომპეტენციათა გამიჯვნა; ევროკავშირის სამართლებრივი მოწყობისა და მისი პრინციპების საკითხები; ევროკავშირში თავისუფალი დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების საკითხები; ევროკავშირის ინსტიტუტების ურთიერთქმედების საკითხი და ევროკომისიის დაკომპლექტების წესი. ევროკავშირში დემოკრატიისა და ფუნდამენტური თავისუფლებების საკითხების პოლიტიკა და ევროკავშირის ფუნდამენტური

ღირებულებების განმარტება; ევროპული ენების მრავალფეროვნების პოლიტიკა; ერთიანი ევროპული იდენტობა და ევროპის მოქალაქეობა; ევროკავშირის დიპლომატიური სამსახური და დიპლომატიური წარმომადგენლობების ფუნქციონირება; ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღების წესის პრინციპები; ევროკავშირისთვის სამართლებრივი სუბიექტის სტატუსის მინიჭების საკითხი; ევროკავშირის ბიუჯეტის დაგეგმარება და მონეტარული პოლიტიკის საკითხები; ევროკავშირში გაწევრიანების და ევროკავშირიდან გასვლის საკითხები და სხვა.

ჯერ კიდევ მაშინ მიშელ მუსხელმა იწინასწარმეტყველა, რომ ევროპის გაერთიანება უნდა ყოფილიყო კავშირი (Union) და არა ერთობა (Unity), მას მიაჩნდა, რომ ევროპის ქვეყნები არ უნდა ყოფილიყვნენ დამორჩილებული აბსოლუტური სუვერენიტეტის მქონე ,,ცენტრს'' ვინაიდან ცენტრის მიერ ამ სახის დომინაცია ევროპას ტოტალიტარიზმის დამყარებამდე მიიყვანდა. მეორე მხრივ ,,კავშირი'' მისი აზრით ეფუძნება შემადგენელი სუბიექტების ინდივიდუალიზმს, რომელსაც ეს სუბიექტები კავშირის ფარგლებშიც ინარჩუნებენ. ამასთან კავშირსა და მის წევრებს შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო ბმა და ქმედუნარიანი ურთიერთობები. ამიტომ კავშირი მისი აზრით გამორიცხავს დომინაციას და ფუნქციონირებს მის წევრებს შორის ინტენსიური კოლაბორაციის მეშვეობით.

მ. მუსხელის აზრით ფედერაციის სუბიექტები ნებაყოფლობით ერთიანდებიან ფედერაციის მოდელში. ფედერაციის სუბიექტები და ფედერაცია თანხმდებიან სუვერენული კომპეტენციების გამიჯვნის გზით სასურველი ბალანსის დამყარებაზე. მუსხელის ეს განმარტება გახდა ევროკავშირის განვითარების იდეა, ევროკავშირის მართვის სუპრანაციონალური მოდელის საფუძველი, რომელშიც სუვერენული კომპეტენციები სრულიად უნიკალური მეთოდით იქნა გადანაწილებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. ამ შემთხვევაში ფედერალიზმის რაობა გასცდა მისი მოქმედების ჩარჩოებს და ნორმებს (ფედერალიზმი საზღვრების გარეშე) და მოხდა მისი ,,გადაღვრა'' (დოგმატური ფედერალიზმის ნორმების გადაღვრა) ე.წ. (Spillover) ეფექტის მეშვეობით. მისი აზრით ფედერაცია ეს არის საათის მექანიზმი, რომელიც ფუნქციონირებს ზუსტი, ფაქიზი და უნიკალური დეტალების სინქრონიზირებული და შეთანხმებული გზით. მისთვის მიუღებელი იყო ფედერალიზმის როგორც დოგმატური ფორმულის გამოყენება. იგი წერს, რომ ,,როგორც მუსიკოსი იყენებს სხვადასხვა ნოტას მელოდიის შესაქმნელად, ასევე შესაძლებელია ფედერალიზმის სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების იმგვარად გამოყენება, რომ შეიქმნას სისტემა, რომლის ამ სხვადასხვა ელემენტის ერთიან ბალანსში ინტეგრირების გზით, შეძლებს წარმატებით ფუნქციონირებას.

ევროპულმა ფედერაციამ უნდა შეძლოს ,,ხელისუფლებასა''- (ევროკავშირის ინსტიტუტებმა) და ,,თავისუფლებს''- (წევრი ქვეყნები) შორის ბალანსის დამყარება, რომ საზოგადოება ხელისუფლების გარეშე ანარქიად ყალიბდება, ხოლო საზოგადოება თავისუფლების გარეშე მონობაში აღმოჩნდება. ,,თავისუფლება ამ შემთხვევაში ნიშნავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინდივიდუალურობისა და თავისებურებების, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებას იმ პირობებში, რომ ეს ქვეყნები ნებაყოფლობით ემორჩილებიან ერთობლივად შეთანხმებულ წესრიგს და რეგულაციებს.

რაც შეეხება ფედერაციის დემოკრატიასა და თავისუფლების ძირითად ბუნებას, ის აერთიანებს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ხალხსაც, მასას, რომელიც ის ერთბაშად სახელმწიფოთა გაერთიანებაცაა და ინდივიდების გაერთიანებაც. ფედერაციის ძალა გამომდინარეობს ორი საყრდენი წერტილიდან: ხალხზე დაყრდნობით ის სახელმწიფოზე დომინირებს, ხოლო სახელმწიფოზე დაყრდნობით მართავს ხალხს. ასე რომ ის კოლექტიური და ინდივიდუალური ნების კვეთაზე მდებარეობს, საიდანაც გამომდინარეობს მისი სიმტკიცე და მოქნილობა. ამრიგად ფედერაცია დემოკრატიული გაერთიანებაა, რომელიც შუა გზაზე იმყოფება საერთაშორისო გაერთიანებათა ანარქიასა

და უნიტარულ სახელმწიფოს ავტორიტარიზმს შორის. მ. მუსხელის აზრით ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ დემოკრატიული ქვეყანა, ამისთვის იგი მოითხოვს თავისუფალი დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას, რაც წევრმა ქვეყანამ დემოკრატიულად უნდა უზრუნველყოს. აღნიშნული საკითხი თანხვედრაშია დღევანდელი მოქმედი ხელშეკრულების მეორე მუხლში, რაც პირდაპირ მიუთითებს მის მედეგობასა და ეფექტიანობაზე.

ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებს შორის კომპეტენციების გამიჯვნა მუსხელის აზრით აუცილებელია, ვინაიდან ფუნქციების გადანაწილება არის მართვის და ადმინისტრირების ზოგადი მეთოდი, რომელიც საერთოა ყველა პოლიტიკური საზოგადოებისათვის. ამას იმეორებს სწორედ შუმანის დეკლარაცია, სადაც ნათქვამია, რომ თუ ეროვნული კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის ფედერაციის ამ შემთხვევაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მაშინ უპირატესობა რა თქმა უნდა ევროკავშირის კანონმდებლობას მიენიჭება. მ. მუსხელის კონცეფცია მოგვიანებით განხორციელდა ევროკავშირის ინსტიტუტების ჩამოყალიბების, ამავე ინსტიტუტებს შორის გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის წესით, გამართული სასამართლო სისტემითა და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე საერთო მიზნის მიღწევის პრინციპით. მ. მუსხელი ,,ევროპა ფედერალიზმის პირისპირ'' მესამე ნაწილის მეცხრე მუხლში საუბრობს ევროპული გაერთიანების შემდგომში ევროკავშირის საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტის სტატუსის მინიჭების აუცილებლობაზე, რაც მოგვიანებით 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულებით ევროკავშირს განესაზღვრათ საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტის სტატუსი.

საინტერესოა მ. მუსხელის მოსაზრება ევროპული ენების მრავალფეროვნების შესახებ, მისი აზრით ევროკავშირის ოფიციალურ ენებად აღიარებს ინგლისურსა და ფრანგულს. ,,ევროპა ფედერალიზმის პირისპირ'' (ნაწილი პირველი მუხლი 169), იგი ამბობს, რომ ...ნაციონალური გრძნობები კრძალავს მხოლოდ ერთის (ენის) არჩევას, რადგან რთულია ყველა მათგანის მიღება, საჭიროა შუალედური გამოსავლის მოძებნა, როგორც ეს ხდება გაეროში, ოფიციალურ ენებად შეგვიძლია ვცნოთ გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური ესპანური ენები, რომლებზეც საუბრობენ ევროპის მრავალი ქვეყნები, ხოლო სამუშაო ენებად -ინგლისური და ფრანგული. ყველა მოხსენება და დოკუმენტი უნდა ითარგმნოს ამ ორიდან ერთ-ერთ ენაზე. დღემდე ასეა მიღებული.

მიშელ მუსხელი ხაზს უსვამს ერთიან ევროპულ იდენტობის აუცილებლობას (ფედერაციაში) ევროკავშირში, მას შემოაქვს ინდივიდის/პიროვნების ცნება, რაც შემდგომ ,,ევროკავშირის მოქალაქეობით ჩანაცვლდა. მისი აზრით ფედერალური მოქალაქეობის მიღება გააფართოებს მათ სტატუს, მიანიჭებს ახალ უფლებებს -ფედერალურ უფლებებს, რომლით სარგებლობის გარანტიასაც ფედერალური სახელმწიფო იძლევა ფედერაციის მთელი ტერიტორიის მასშტაბით., რაც მოგვიანებით 1992 წელს მაასტრიხის ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ,,ევროკავშირის მოქალაქეობა'' შემოიღეს, რომელიც შემდგომ სამართლებრივ აქტებში გაიწერა მათი უფლებები და მოვალეობები (მუხლი184). ფედერაციის წევრ ქვეყნებს, რომელიც აღჭურვილნი არიან კონსტიტუციის ძალით, საერთაშორისო იდენტობით და ფართო შიდა კომპეტენციებით, შეეძლებათ უცხო ქვეყნებთან პირდაპირ დადონ შეთანხმებები თავიანთ უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე (მუხლი 197).

მ. მუსხელი საუბრობს ევროკავშირში დიპლომატიური წარმომადგენლობისა და მათი უფლებების საჭიროებაზე. იგი ამბობს, რომ ევროპის ფედერაციაში (ევროკავშირში) ფედერალურ სახელმწიფოს განცალკევებული დიპლომატიური წარმომადგენლობა ეყოლება, მაგრამ წევრი სახელმწიფოები იქ თავიანთ წარმომადგენლებსაც შეინარჩუნებენ (მუხლი 202). ორმაგი წარმომადგენლობის არსებობა საჭიროებს ფედერალური სახელმწიფოებისა და წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური მოქმედებების გამიჯვნას,

როგორც ხელშეკრულებების შემთხვევაში, მისი გამიჯვნა მოხდება ფედერალური კონსტიტუციის მიერ დადგენილი კომპეტენციების განაწილების მიხედვით (მუხლი 203). რაც შემდეგ განხორციელდა და დარეგულირდა ხელშეკრულებით ,,ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ''.

მ. მუსხელი ევროკავშირის ეკონომიკური საკითხებისა და მონეტარული პოლიტიკის შესახებ ამბობდა, რომ ნახშირის, ფოლადის ჰიდროელექტროენერგიისა და ატომური ენერგიის წარმოება თავიდანვე მართული და ორგანიზებული იქნება ფედერალური საბჭოს მიერ. ამ მიზნით შეიქმნება ფედერალური ოფისები, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარებიან ეკონომიკის ფედერალურ სამინისტროს (მუხლი207), რომელსაც დახმარებას გაუწევს ევროპის ეკონომიკური საბჭო ანუ ამჟამინდელ ევროკავშირის საბჭო. ეს ნიშნავს, რომ მისი აზრი წარმატებით განხორციელდა და დღეს ევროკავშირის ეკონომიკურ საკითხებს უძღვება ევროკომისარი ვაჭრობის საკითხებში, ევროკავშირის საბჭოსთან ერთად.

მ. მუსხელმა იწინასწარმეტყველა, რომ ,,როგორც კი ეკონომიკური გაერთიანება ჩამოყალიბდება, ფედერალურ სახელმწიფოს ექნება გადაწყვეტილების მიღების უფრო ფართო ძალაუფლება, კერძოდ მას შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება საერთო ვალუტის შექმნის ან ქვეყნის მიერ ეროვნული ვალუტის შენარჩუნების შესახებ, ის მართავს ფედერაციის მონეტარულ პოლიტიკას'' (მუხლი 207). იგი თავიდანვე აყენებდა ახლანდელი ევროპის ცენტრალური ბანკის შექმნის აუცილებლობას, რომელიც დაარეგულირებს საკრედიტო პოლიტიკას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა იგი არ გამორიცხავდა რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეეძლოთ ასევე თავიანთი ეროვნული ვალუტის ექსპლოატაციაც ფედერაციის პირობებში და თავიდანვე არ ზღუდავდა მათ. რაც ევროკავშირის მეშვიდე გაფართოების პირობებში ეს ტენდენცია დღემდე ნარჩუნდება. იგი ამბობდა, რომ ევროკავშირის თავისი საკუთარი შემოსავლები უნდა ჰქონდეს, რომელსაც ექნება სახელმწიფო ბიუჯეტი (მუხლი 208) და იგი შეივსება არა მარტო საწევროს შენატანებით, არამედ ფედერირებული საწარმოების მოგებიდან, სესხებიდან და ფედერალური გადასახადებიდან ასევე დაემატება ამას საბაჟო მოსაკრებელიც, რაც ამ კუთხით მთლიანად არ იქნება დამოკიდებული წევრ სახელმწიფოებზე. აღნიშნული საკითხი წარმოჩენილია ასევე ევროპის კონსტიტუციის მეოთხე თავის 35-ე მუხლში, სადაც პირდაპირ გაწერილია, რომ ფედერალური სახელმწიფო უფლებამოსილია შექმნას და მართოს ნახშირის ფოლადის, ჰიდროელექტროენერგიისა და ატომური ენერგიის ფედერალური ბიუროები და ასევე დაარსოს ფედერალური ბანკი, შექმნას ფედერალური ვალუტა ან მართოს ფედერაციის მონეტარული პოლიტიკა და კოორდინაცია გაუწიოს საკრედიტო პოლიტიკას, განსაზღვროს შენატანების მოსაკრებლების და შენატანების ოდენობა, მათი დაწესებისა და მოკრების წესები.

მ. მუსხელის მეტად მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველება, რომელიც ეხება ევროკავშირში გაწევრიანებისა და ევროკავშირიდან გასვლის საკითხს, სადაც წერია, რომ ევროპის სახელმწიფოებს, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ შევიდნენ ან არ შევიდნენ ფედერაციაში, გამოსვლის უფლება აღარ ექნებათ. მათ როგორც ეს სახელმწიფოთა კონფედერაციაშია, არა აქვთ, გამოყოფის უფლება. ისინი ისევე იქნებიან მიმაგრებული ფედერალურ სახელმწიფოსთან, როგორც პროვინციები უნიტარულ სახელმწიფოსთან (მუხლი180). ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს რომ ფედერაციას შეეძლოთ წევრების მიღება, მაგრამ გასვლის უფლება არ ჰქონდათ ფედერაციიდან. შედეგად ევროკავშირში მისი ისტორიის განვითარების ტალღის შედეგად, დღეს 27 ევროპული სახელმწიფოა გაერთიანებული და ემზადება შემდეგი გაფართოებისთვის. ეს პრინციპი ფაქტობრივად მუშაობდა მანამ სანამ ლისაბონის ხელშეკრულება არ შევიდა ძალაში 2009 წელს. სადაც მოდიფიცირებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, ევროკავშირის 50-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის თანახმად. ევროკავშირიდან გასვლის საკითხი არის

ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის უფლება. სწორედ ეს მუხლი იქნა ამოქმედებული ევროკავშირში ბრექსიტის დროს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლება, გამოვიდეს კავშირიდან ნახსენები იყო მაასტრიხის ხელშეკრულების 50-ე მუხლში, თუმცა არსებული ფორმულირება ეხებოდა პროცედურულ საკითხებს და არ იძლეოდა რეალურ შესაძლებლობებს კავშირიდან გასვლისა. მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, ორ წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ კავშირის წევრობა ავტომატურად წყდება. მოცემულ პირობებს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 50-ე მუხლის 3-ე ნაწილი განსაზღვრავს. ამ ფაქტს აქვს მეორე მხარეც, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ინგლისის ბრექსიტამდე არ შეეძლოთ გაერთიანების დატოვება, რამაც გაამყარა წევრი სახელმწიფოების ერთიანობა და შეკრა ერთ მუშტად. თუ ვინმე შევიდოდა გაერთიანებაში, იცოდა, რომ კავშირიდან გამოსვლას ვეღარ შეძლებდა, რაც კიდევ უფრო მყარდებოდა კავშირის მედეგობა. მ. მუსხელმა თავის დროზე ამით გაახანგრძლივა ევროინტეგრაციის პროცესი და განსხვავებული ქვეყნების ინტერესები ერთი ინტერესის სფეროდ აქცია. მან ევროკავშირს ამით შეუნარჩუნა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, პოლიტიკური ბალანსი და ქვეყნებს შორის სწორი კომუნიკაციის უნარი.

დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცნობილი ხდება, რომ ევროკავშირის შექნის სათავეებთან იდგა მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ მუსხელიშვილი, შესაბამისად იგი სამართლიანად შეიძლება იქნას მიჩნეული ევროკავშირის შექმნისა და განვითარების თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლების ერთ-ერთ ავტორად.

გამოყენებული ლიტერატურა:

მუსხელიშვილი, მ. (1930). ,,სახელმწიფოთა კონფედერაციული და ფედერაციული კავშირი''. *გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“*, N51. პარიზი.

მუსხელიშვილი, მ. (1930). ,,სახელმწიფოთა კონფედერაცია და ფედერაციული სახელმწიფო'', გაზეთი *„დამოუკიდებელი საქართველო“.* N52. პარიზი.

მუსხელიშვილი, მ. (1930). ,,ფედერალური სახელმწიფო'', გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“. N56. პარიზი.

მუსხელიშვილი, მ. (1932). კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენობა. გაზეთი ,,დამოუკიდებელი საქართველო''. N76. პარიზი.

ჯაფარიძე, ე. (2019). ევროინტეგრაციის სათავეებთან. თბილისი: უნივერსალი.

ჯაფარიძე, ე. (2024). სუპრანაციონალური პოლიტიკა ევროკავშირში. თბილისი: იურისტების სამყარო.

ჯგუბურია, ზ. (2019). ერთიანობა მრავალფეროვნებაში. თბ.

Michel Mouskhely. (1949). L'Europe face au federalisme.

Michel Mouskhely, Gaston Stefani. (1948). ,,Draft of a European Federal Constitution“.

REFERENCES

muskhelishvili, m. (1930). ,,sakhelmts'ipota k'onpederatsiuli da pederatsiuli k'avshiri''. gazeti „damouk'idebeli sakartvelo“ , N51. p'arizi [“Confederal and Federal Union of States”. Newspaper “Independent Georgia”, No. 51. Paris].

muskhelishvili, m. (1930). ,,sakhelmts'ipota k'onpederatsia da pederatsiuli sakhelmts'ipo'', gazeti „damouk'idebeli sakartvelo“. N52. p'arizi [“Confederation of States and Federal State”, Newspaper “Independent Georgia”. N52. Paris].

muskhelishvili, m. (1930). ,,pederaluri sakhelmts'ipo'', gazeti „damouk'idebeli sakartvelo“. N56. p'arizi ["Federal State", newspaper "Independent Georgia". N56. Paris].

muskhelishvili, m. (1932). k'onpederatsiashi shesul sakhelmts'ipota suverenoba. gazeti ,,damouk'idebeli sakartvelo''. N76. p'arizi [Sovereignty of the States Included in the Confederation. Newspaper "Independent Georgia". N76. Paris].

japaridze, e. (2019). evroint'egratsiis sataveebtan. tbilisi: universali. [At the origins of European integration. Tbilisi: Universal].

japaridze, e. (2024). sup'ranatsionaluri p'olit'ik'a evrok'avshirshi. tbilisi: iurist'ebis samqaro. [Supranational Politics in the European Union. Tbilisi: World of Lawyers].

jguburia, z. (2019). ertianoba mravalperovnebashi. tb. [Unity in diversity. Tb].

Michel Mouskhely. (1949). L'Europe face au federalisme.

Michel Mouskhely, Gaston Stefani. (1948). ,,Draft of a European Federal Constitution“.